USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №44
მაისი, 2023

თბილისი, 2023

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ზურაბ შელია

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №44 ბიულეტენს. მასში აღწერილია მაისში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. საქართველოს პარლამენტის, საკრებულოების შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნები

5 მაისს 2023 წლის 29 აპრილის საკრებულოს შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნების შედეგები შესაბამისმა საოლქო საარჩევნო კომისიებმა შეაჯამეს.[1] პარლამენტის შუალედური არჩევნების შეჯამება კი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) 7 მაისს გამოაქვეყნა.[2]

ცესკოს განცხადებით, ახალმა ტექნოლოგიებმა ამომრჩევლების მოწონება დაიმსახურა. მათივე თქმით, ამ ტექნოლოგიების გამოყენებით, საარჩევნო ადმინისტრაციამ პირველადი წინასწარი შედეგები კენჭისყრის დასრულებიდან საათ-ნახევარში წარადგინა.[3]

საქართველოს მოქალაქეებმა 29 აპრილს 10 მუნიციპალიტეტში გამართულ შუალედურ/რიგგარეშე არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა. 2 მუნიციპალიტეტში - მერის, 5-ში - საკრებულოების მაჟორიტარი წევრების, ხოლო 3-ში მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნები გაიმართა.[4]

2. ცვლილებები საარჩევნო კოდექსში

8 მაისს საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა საკანონმდებლო ინიციატივა,[5] რომლის მიხედვითაც, საქართველოს პარლამენტი ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) თავმჯდომარესა და 7 წევრს, პრეზიდენტის ნაცვლად, პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით აირჩევს. არჩევისთვის საჭირო ხმების რაოდენობა კი, არსებული 2/3-ის ნაცვლად, უბრალო უმრავლესობამდე შემცირდება.[6]

საიას შეფასებით, ცესკოს დაკომპლექტების მოქმედი წესი შარლ მიშელის შეთანხმების სულისკვეთებით არის მიღებული, შესაბამისად, ის ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების კანდი-

---

[1] „ცესკომ საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების საბოლოო შედეგები შეაჯამა", ცესკოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qIYPLm, განახლებულია: 20.06.2023.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] საქართველოს პარლამენტის არჩევნები გაიმართა ფოთი-სენაკი-ხობის მაჟორიტარულ ოლქში; საკრებულოს შუალედური არჩევნები - გურჯაანის, თიანეთის, ახალციხის, ტყიბულის, ქუთაისის ოლქებში; მერის რიგგარეშე არჩევნები - ცაგერისა და თერჯოლის ოლქებში.
„ცესკომ 29 აპრილის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების შედეგები გამოაქვეყნა", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2023 წლის 1-ლი მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/539780, განახლებულია: 20.06.2023.

[5] „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ" საკანონმდებლო ინიციატივა, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/26338, განახლებულია: 20.06.2023.

[6] იქვე.

დატურაზე საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის შეთანხმებას ითვალისწინებს. ცვლილებების შემდეგ კი უქმდება კონსენსუსის მისაღწევად პარტიებს შორის მოლაპარაკებების საჭიროება და უმრავლესობას ენიჭება უფლებამოსილება, ერთპიროვნულად დააკომპლექტოს ცესკო.[7]

საიას განცხადებით, პრეზიდენტისთვის ცესკოს დაკომპლექტებაში არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული როლის არსებითად შემცირება დამატებით ლეგიტიმურ კითხვებს წარმოშობს კონსტიტუციასთან მისი თავსებადობის თვალსაზრისითაც.[8]

ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ცესკოს დაკომპლექტების არსებული წესის უგულებელყოფით „ქართული ოცნება" უარს აცხადებს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე, შესაბამისად, საიამ მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, არ დაემტკიცებინა შემოთავაზებული კანონპროექტი და გაეთვალისწინებინა სტრატეგიული პარტნიორების რეკომენდაციები საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობასთან დაკავშირებით.[9] საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტის მიღებას მხარი დაუჭირა.[10]

3. ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევის შედეგები

NDI-მ 3 მაისს საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა.[11] კვლევის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები მტკიცედ უჭერენ მხარს ევროკავშირთან ახლო პოლიტიკურ (54%) და ეკონომიკურ (52%) თანამშრომლობას. თუმცა, ასეთი მისწრაფებების მიუხედავად, ამავე კვლევის შედეგებით, მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობა ქვეყნის ევროკავშირში გასაწევრიანებლად საკმარისს არ აკეთებს.[12] რესპონდენტების 64%-ის განცხადებით, საქართველოში არ არსებობს ერთი პოლიტიკური პარტია მაინც, რომელიც მის ინტერესებს გამოხატავს.[13] ყველაზე მისაღებ პარტიად 17%-მა – „ქართული ოცნება", 5%-მა – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", 6%-მა კი სხვა პარტიები დაასახელა.[14]

გამოკითხულების 51% ამბობს, რომ არცერთ ქართულ ტელეარხს არ ენდობა.[15] 18% ნდობას პროსახელისუფლებო ტელევიზია „იმედს" უცხადებს, 8% – ოპოზიციურ „მთავარ არხს", 5% – „რუსთავი 2-ს", 3% – „ტელეკომპანია პირველს", 3% – „საზოგადოებრივ მაუწყებელს", 6% კი – სხვა ტელევიზიებს.[16]

---

[7] „ ცესკოს დაკომპლექტების წესის ცვლილებებით „ქართული ოცნება" აგრძელებს კანონმდებლობის პარტიულ ინტერესებზე მორგებას და ამცირებს ცესკოს დამოუკიდებლობას", საიას ვებგვერდი, 2023 წლის 8 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Xk8QuH, განახლებულია: 20.06.2023.

[8] იქვე.

[9] იქვე.

[10] „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ" საკანონმდებლო ინიციატივა, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი.

[11] საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2023 წლის მარტში ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვის შედეგები, NDI-ის ვებგვერდი, 2023 წლის მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/444PbkI, განახლებულია: 20.06.2023.

[12] „საზოგადოებრივი განწყობები NDI-ის მარტის კვლევაში", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 3 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/540319, განახლებულია: 20.06.2023.
საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2023 წლის მარტში ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვის შედეგები, NDI-ის ვებგვერდი.

[13] იქვე.

[14] იქვე.

[15] იქვე.

[16] იქვე.

4. ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები

4.1. „ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის“ (ALDE) კონგრესის ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ინტეგრაციის მხარდამჭერი რეზოლუცია

ALDE-მ 28 მაისს ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ინტეგრაციის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო.[17] რეზოლუციით კონგრესი ადასტურებს ურყევ მხარდაჭერას საქართველოს მისწრაფებების მიმართ, რომ გახდეს ევროკავშირისა და ნატოს წევრი და ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების შემდეგ მას ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭოს.[18]

4.2. საქართველოს პრემიერ მინისტრის, საქართველოს პრეზიდენტისა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტების განცხადებები „ევროპის დღეებთან“ დაკავშირებით

6 მაისს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ევროპის დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიების გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ მას სჯერა, „საქართველო გახდება დიდი ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი და ევროპაში შევა საკუთარი ტრადიციებით“.[19] 9 მაისს ევროპის დღესთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ათონელის საპრეზიდენტო სასახლესთან გამართულ ღონისძიებაზე ქართველ ხალხს მიმართეს.[20] გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე, პარტნიორების მხარდაჭერისა და დახმარების მიღმა, დანარჩენი საქმე საქართველოს გასაკეთებელია.[21] ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა საქართველოს მოქალაქეებს ევროპის დღე ვიდეომიმართვით მიულოცა და აღნიშნა, რომ ქართველ ხალხს გაკეთებული აქვს მკაფიო არჩევანი, რომელიც ევროპულ ღირებულებებს უკავშირდება.[22]

4.3. დიპლომატების ვიზიტები საქართველოში

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი 3 მაისს გერმანიის ბუნდესტაგის ევროკავშირის საკითხთა კომიტეტის წევრებს შეხვდა, რომლებიც თბილისს სტუმრობდნენ.[23] საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის ცნობით, შეხვედრის მონაწილეებმა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად ევროკომისიის მიერ გაცემული 12 პრიორიტეტის შესრულებაზეც გაამახვილეს ყურადღება.[24]

14-15 მაისს საქართველოს დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ლარს ლოკე ლასრუმენი სტუმრობდა.[25] ის შეხვდა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, საგარეო საქმეთა მინისტრ ილია

---

[17] „ALDE-ს კონგრესმა ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ინტეგრაციის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 28 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/544956, განახლებულია: 20.06.2023.

[18] იქვე.

[19] „პრემიერი: მჯერა, რომ საქართველო შევა ევროპაში საკუთარი ტრადიციებით“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 6 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/541081, განახლებულია: 20.06.2023.

[20] „საქართველოსა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტებმა ქართველ ხალხს ევროპის დღე მიულოცეს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 10 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/541501, განახლებულია: 20.06.2023.

[21] იქვე.

[22] იქვე.

[23] „შალვა პაპუაშვილი ბუნდესტაგის დელეგაციის წარმომადგენლებს შეხვდა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 3 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/540508, განახლებულია: 20.06.2023.

[24] იქვე.

[25] „დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს სტუმრობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 15 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/542388, განახლებულია: 20.06.2023.

დარჩიაშვილს, ვიცე-პრემიერსა და ეკონომიკის მინისტრ ლევან დავითაშვილს.[26] დიპლომატის განცხადებით, დანია მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს.[27]

3 მაისს საქართველოს ეწვია ჯეიმს აპატურაი, ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების საკითხებში.[28] მან საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივის განსახილველად პრესკონფერენცია გამართა, სადაც ხაზი გაუსვა უკრაინაში რუსეთის შეჭრის ფონზე დემოკრატიულ ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის შენარჩუნების მნიშვნელობას.[29] ჯეიმს აპატურაიმ აღნიშნა, რომ საქართველო ნატოს წევრი ქვეყნების მნიშვნელოვანი მოკავშირეა. მან სტაბილურობის უზრუნველსაყოფად უფრო მჭიდრო თანამშრომლობის საჭიროებაზე გაამახვილა ყურადღება.[30] ამასთანავე, აპატურაიმ საქართველოში რეფორმების გაგრძელების საჭიროებაზეც ისაუბრა, განსაკუთრებით, პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირების კუთხით და ნატოს მომავალ სამიტამდე ამ სფეროში პროგრესის მიღწევისკენ მოუწოდა.[31]

4.4. „ქართულმა ოცნებამ“ ევროპელი სოციალისტების პარტია (PES) დატოვა

28 აპრილს ევროპელი სოციალისტების პარტიაში გაერთიანებული სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები ონლაინ ფორმატში შეიკრიბნენ და, სხვა საკითხებთან ერთად, პარტიის დამკვირვებელი წევრის, „ქართული ოცნების“ გარშემო არსებული ვითარება განიხილეს.[32] „ქართული ოცნების“ დამკვირვებელ წევრობასთან დაკავშირებული საკითხი მანამდე PES-ის პრეზიდენტმა სტეფან ლოფვენმა მარტში გამართულ შეხვედრაზე დააყენა, ხოლო მისი განხილვა და გადახედვა თავმჯდომარეობის მომდევნო შეხვედრაზე, 2023 წლის ივნისში იგეგმება.[33]

11 მაისს მმართველი პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ „ევროპის სოციალისტურ პარტიას“ ტოვებს.[34] ამ გადაწყვეტილების მიზეზად მან ევროპის სოციალისტური პარტიის იდეოლოგიური ტრანსფორმაცია დაასახელა.[35]

4.5. პრეზიდენტის ვიზიტი ბრიუსელში

30-31 მაისს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სამუშაო ვიზიტით ბრიუსელს სტუმრობდა, სადაც იგი ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს, ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენსა და ევროპარლამენტის პრეზიდენტ რობერტა მეცოლას შეხვდა. 31 მაისს სალომე ზურაბიშვილმა ევროპარლამენტს სიტყვით მიმართა.[36] საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, მხარეებმა შეხვედრაზე, სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოს ევროპული მომავალი, ევროკომისიის 12 პრიორიტეტისა და რეფორმების განხორციელების მიმართულებით არსებული გამოწვევები განიხილეს.[37] სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტმა აღნიშნა,

---

[26] იქვე.
[27] იქვე.
[28] „ჯეიმს აპატურაი საქართველოს სტუმრობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 3 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/540572, განახლებულია: 20.06.2023.
[29] იქვე.
[30] იქვე.
[31] იქვე.
[32] „ევროპელი სოციალისტების პარტიას კონსერვატორთა კონფერენციასთან „ოცნების“ დაახლოება აშფოთებს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, 2023 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, 2023 წლის 1-ლი მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/539577, განახლებულია: 20.06.2023.
[33] იქვე.
[34] „იდეოლოგიური შეუთავსებლობის მიზეზით „ქართული ოცნება“ ევროპის სოციალისტურ პარტიას ტოვებს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, 2023 წლის 11 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/541808, განახლებულია: 20.06.2023.
[35] იქვე.
[36] „სალომე ზურაბიშვილი ბრიუსელს სტუმრობს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, 2023 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/545550, განახლებულია: 20.06.2023.
[37] იქვე.

რომ ქართველები ისტორიულ მონაკვეთზე იმყოფებიან, რადგანაც მათ სურთ, საქართველო დაუბრუნდეს თავის ევროპულ ოჯახს მრავალსაუკუნოვანი სწრაფვის შემდეგ.[38] პრეზიდენტის განცხადებით, ამის მისაღწევად იგი ყველაფერს გააკეთებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს კონსტიტუციითაა გათვალისწინებული, არამედ ასევე „მორალური რწმენის" გამო.[39]

5. პოლიტიკური პარტიების შემოწირულებები

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" (TIG) მიერ 15 მაისს გამოქვეყნებული ბიულეტენის მიხედვით, 2023 წლის პირველ კვარტალში (იანვარი-მარტი) პოლიტიკურმა პარტიებმა, ჯამში, 640 569 ლარის შემოწირულება მიიღეს. აქედან თითქმის ნახევარი, 300 000 ლარი, „ქართულმა ოცნებამ" მიიღო.[40] 201 000 ლარის შემოწირულებით მეორე ადგილზეა „ლელო საქართველოსთვის". შემდეგ მოდიან: „ევროპული საქართველო" – 84 299 ლარით, „კონსერვატიული მოძრაობა" – 21 724 ლარით და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" – 7 650 ლარით.[41]

6. მიხეილ სააკაშვილის საქმე

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ 12 მაისს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა პატიმრობაში მყოფი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სამკურნალოდ პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გადაყვანის შესახებ დროებითი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნა. მისივე თქმით, სახელმწიფოს არც ქვეყნის შიგნით მისი სხვა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა დაევალა.[42]

იუსტიციის მინისტრის ბრიფინგის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა შოთა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ეს არ არის სტრასბურგის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, არამედ ეს ე.წ. დროებითი ღონისძიების სარჩელის განხილვამდე სააკაშვილის გადაყვანის საკითხთან დაკავშირებული პროცედურული გადაწყვეტილებაა.[43]

სასამართლოს გადაწყვეტილებას საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც გამოეხმაურა. მისი თქმით, საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ დათანხმდა ყოფილი პრეზიდენტის უცხო ქვეყნის სამკურნალო დაწესებულებაში გადაუდებლად გადაყვანას.[44] პრეზიდენტის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ არ იყო მიღებული ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც რეპუტაციულ ზიანს მიაყენებდა საქართველოს.[45]

---

[38] „პრეზიდენტი ევროპარლამენტში: „ჩვენი ერთობლივი მიზანი იქნება, რათა მეორე შანსი ხელიდან არ გავუშვათ", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2023 წლის 31 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/545887, განახლებულია: 20.06.2023.

[39] იქვე.

[40] „პოლიტიკური შემოწირულების თითქმის ნახევარი კვლავ „ქართულმა ოცნებამ" მიიღო", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2023 წლის 15 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/542317, განახლებულია: 20.06.2023.

[41] იქვე.

[42] „რატი ბრეგაძე: სტრასბურგმა არ დააკმაყოფილა სააკაშვილის სამკურნალოდ ვარშავაში გადაყვანის მოთხოვნა", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2023 წლის 12 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/542162, განახლებულია: 20.06.2023.

[43] იქვე.

[44] იქვე.

[45] იქვე.